ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6690635

ნომერი: AR1991751

თარიღი : 25.09.2023

გაცემის თარიღი : 03.10.2023

გაცნობის თარიღი : 03.10.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ზაჰესის დასახლება, მიხეილ წინამძღვრიშვილის ქუჩა, N 7;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ქაშიაშვილი პ/ნ 31001035162
- მცხეთა ს. მისაქციელი

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2023 წლის 25 სექტემბრის №AR1991751 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციის და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 25 სექტემბერს №AR1991751 განცხადებით მომართა ალექსანდრე ქაშიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 30

აგვისტოს №6639296 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 30 აგვისტოს №6639296 ბრძანებით შეთანხმდა №72.12.02.508 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე საწყობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 30 აგვისტოდან 2024 წლის 30 აგვისტოს ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2023 წლის 30 აგვისტოს №6639296 ბრძანებით შეთანხმებულ მშენებლობის ორგანიზების პროექტში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და შესაბამისად, ითხოვს წარმოდგენილი მშენებლობის ორგანიზების პროექტის ჩანაცვლებას.
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილი შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტი და კალენდარულ გრაფიკი არ არის ერთმანეთთან შესაბამისი. კერძოდ, მშენებლობის ორგანიზების პროექტის ტექსტურ ნაწილში ეტაპების ჩამონათვალში - შენობა - ნაგებობის მიწის სამუშაოები; შენობა-ნაგებობის ფუძის მოწყობის სამუშაოების განხორციელების ვადად მითითებულია 80 დღე. ხოლო, კალენდარულ გრაფიკში ამავე სამუშაოებისთვის მითითებულია 60 დღე. გარდა აღნიშნულისა, როგორც ორგანიზების პროექტში, ასევე კალენდარულ გრაფიკში ძირითადი სამუშაოების ჩამონათვალში შეთანხმებულთან მიმართებით დამატებულია ჩანაწერი: „შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულზე ბეტონის იატაკის მომზადება“. აღნიშნული არ წარმოადგენს ტექნიკურ შეცდომას და შესაბამისად, საჭიროა, ამოღებულ იქნას ორგანიზების პროექტიდან და კალენდარული გრაფიკიდან. ამასთან, განგიმარტავთ, რომ ეტაპები მითითებულ უნდა იქნას ,,მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-20 მუხლით განსაზღვრული ჩამონათვალის შესაბამისად (იდენტური დასახელებით).
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განახლებული დოკუმენტაციის წარმოდგენა.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს ერთმანეთთან შესაბამისი მშენებლობის განხორციელების კალენდარული გრაფიკი და მშენებლობის ორგანიზების პროექტი.
2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში 2023 წლის 25 სექტემბრის №AR1991751 განცხადება დარჩეს განუხილველი.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.